



**სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 19 ივნისის
სხდომის ოქმი**

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

მისამართი: თბილისი მძებნი ზუბალაშვილების ქუჩა N33

სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, ციცილო ცხვედიანი

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

(ა) **ვლადიმერ ურუმაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელმა ვლადიმერ ურუმაშვილმა წარმოადგინა პროკურორად მუშაობის შესაბამისი სტაჟისა და 2019 წლის საგაზაფხულო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ვლადიმერ ურუმაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) **გრიგოლ კეზევაძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები

გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელმა გრიგოლ კეზევაძემ წარმოადგინა პროკურორად მუშაობის შესაბამისი სტაჟისა და 2019 წლის საგაზაფხულო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გრიგოლ კეზევაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) როინ ჩანქსელიანის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე თანდართული დოკუმენტებით, როინ ჩანქსელიანმა წარმოადგინა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატი, გაცემული - 2007 წლის 11 ივნისს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უბის ინსპექტორ - გამომძიებელად მუშაობის შესახებ - 2019 წლის 13 მაისის მდგომარეობით.

წევრები გაეცნენ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის შესაბამისობაში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს და რომლის თანახმად, ასოციაციაში გაწევრიანების მსურველ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც ერთწლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. არ დაკმაყოფილდეს როინ ჩანქსელიანის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: **ჯანო ჯანიაშვილი, შალვა ხუციშვილი, ნანა ციკოლია.**

(ა) წევრები გაეცნენ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ **ჯანო ჯანიაშვილის და შალვა ხუციშვილის** განცხადებებს. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ჯანო ჯანიაშვილის და შალვა ხუციშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს **ჯანო ჯანიაშვილის და შალვა ხუციშვილის** განცხადებები ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრები გაეცნენ ნანა ციკოლიას განცხადებას, რომელშიც მითითებული იყო, რომ 2012-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტში და პარარელურად, საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 ნოემბრის N276 ბრძანებულების თანახმად, დაინიშნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის წევრად, შესაბამისად ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას და ითხოვდა ასოციაციის წევრობის აღდგენას 2012 - 2013 წლების საწევრო დავალიანების გადახდის გარეშე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნანა ციკოლიას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო, 2013 წელს შეუწყდა ასოციაციის წევრობა და ერიცხებოდა 2012-2013 წლების საწევრო დავალიანება.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21²-ე მუხლით განსაზღვრულია წევრობის შეჩერების საფუძველები. ამავე, მუხლის, 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება პირადი განცხადების საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით. შესაბამისად ნანა ციკოლია უფლებამოსილი იყო პირადი განცხადების საფუძველზე შეეჩერებინა ასოციაციის წევრობა იმ პერიოდის განმავლობაში რა დროსაც ის არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად მის მიერ განცხადებაში მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება საპატიოდ.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. ნანა ციკოლიას განცხადება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების ნაწილში.
2. არ დაკმაყოფილდეს ნანა ციკოლიას განცხადება 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.
3. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: მია ფირცხალავა, სოფიო ქაშაკაშვილი, მიშა ბლიაძე, ნინო გველესიანი, ნინო აბესაძე, თორნიკე კოჭლამაზაშვილი, ანზორ ჭინჭარაული, მამუკა კვერნაძე, თამარ ჩინჩალაძე, გიულანდამ ნოვრუზალოვა, ანა ჩიბურდანიძე, სალომე ბედია. საწევრო დავალიანების მქონე პირები: შენგელი ტოხოსაშვილი, ირაკლი ჩახნაშვილი, მარიამ ქევხიშვილი, პაპუნა ფარცვანია, დაზმირ შეროზია, ლელა ჭინჭარაული, მარიკა ლემონჯავა, მედეა ინასარიძე, გვანცა არჩვაძე, თამარ ხუბულური, რატი ხაჩიძე, ნინო კაპანაძე, ავთანდილ ვატანგიშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018-2019 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამავდროულად, 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: შენგელი ტოხოსაშვილს, ირაკლი ჩახნაშვილს, მარიამ ქვეციშვილს, პაპუნა ფარცვანიას, დაზმირ შეროზიას, ლელა ჭინჭარაულს, მარიკა ლემონჯავას, მედეა ინასარიძეს, გვანცა არჩვაძეს, თამარ ხუბულურს, რატი ხაჩიძეს, ნინო კაპანაძეს, ავთანდილ ვატანგიშვილს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4. წევრობის შეწყვეტის შესახებ განცხადებების განხილვა: ნინო აგახანოვი, ირაკლი ბრეგაძე.

წევრები გაეცნენ ნინო აგახანოვის და ირაკლი ბრეგაძის განცხადებებს წევრობის შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, ცნობად იქნას მიღებული ნინო აგახანოვის და ირაკლი ბრეგაძის განცხადებები წევრობის შეწყვეტის შესახებ.

საკითხი 5. საწევრო გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვა: მედეა ინასარიძე, გვანცა არჩვაძე, თამარ ხუბულური, ავთანდილ ვახტანგიშვილი, თინათინ მუმლაძე, მაია ნიკოლაშვილი.

წევრები გაეცნენ:

(ა) მედეა ინასარიძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2014 წლიდან მუშაობდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის იურისტის პოზიციაზე და დამოუკიდებლად არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, ითხოვდა მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, მედია ინსარიძე არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მედია ინსარიძის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ბ) გვანცა არჩვადის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2018 წლიდან მუშაობდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის იურისტის პოზიციაზე და დამოუკიდებლად არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, ითხოვდა მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, გვანცა არჩვამე არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს გვანცა არჩვადის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(გ) თამარ ხუბულურის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი 2013 წლიდან მუშაობდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის პოზიციაზე და დამოუკიდებლად არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას. შესაბამისად, ითხოვდა მის მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, თამარ ხუბულური არ ექვემდებარებოდა საშელავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თამარ ხუბულურის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(დ) ავთანდილ ვახტანგიშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი ახორციელებდა საქმიანობას როგორც საჯარო მოხელე და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც

ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, ავთანდილ ვახტანგიშვილი არ ექვემდებარებოდა საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ავთანდილ ვახტანგიშვილის განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ე) თინათინ მუმლაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილი და ჰქონდა მატერიალური პრობლემები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვდა 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თინათინ მუმლაძე აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, არ ექვემდებარებოდა საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ არცერთ კრიტერიუმს.

საკითხი თინათინ მუმლაძის საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თინათინ მუმლაძის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

(ვ) მაია ნიკოლაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ითხოვდა 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მაია ნიკოლაშვილი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული იყო 2016-2017-2018 წლების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან, ხოლო ამჟამად მოქმედი საწევროს შეღავათების წესების შესაბამისად, იგი ექვემდებარებოდა 75%-იანი საშეღავათო საწევროს სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს.

საკითხი მაია ნიკოლაშვილის საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მაია ნიკოლაშვილის განცხადება 2019 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 6. 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დღეის მდგომარეობით, წევრთა მხრიდან ინტენსიურად ხორციელდება საწევრო დავალიანების დაფარვა. ამასთან, რამდენიმე ათეული ადვოკატი კვლავ მოგვმართავს საწევროს გადახდის გარკვეული ვადით გადავადების თაობაზე. შესაბამისად, რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და თან გვაქვს განცხადებები საწევროს გადავადებების თაობაზე მიზანშეწონილია კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლი იძლევა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დამატებით გაგრძელების შესაძლებლობას, 2019 წლის 12 აპრილს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა შეგვიძლია გავაგრძელოთ **12 კალენდარული დღით - 2019 წლის 2 ივლისამდე.**

კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2019 წლის 12 აპრილს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის კიდევ 12 კალენდარული დღით, ანუ 2019 წლის 2 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

2019 წლის 12 აპრილის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 1-ელ მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 12 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 2 ივლისი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად:

(ა) 2019 წლის 1-ლი მაისიდან დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით;

(ბ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება: სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N36, ტელეფონი: 032 2 98 78 78;

(გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი მაისი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 62 (სამოცდაორი) კალენდარული დღე.

(დ) ადმინისტრაციული წარმოების საგანი - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა გამოვლენა და წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

(ე) ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც აქვთ საწევრო დავალიანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლების თანახმად გამოცხადდეს საჯაროდ. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association/) საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის თანახმად, დაინტერესებულ პირთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1-ლი ივლისი.

(ზ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2019 წლის 2 ივლისი.

(თ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება და 2017-2018-2019 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეწყვეტის თაობაზე გამოქვეყნდეს გაზეთ „რეზონანში“, განთავსდეს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge, ადვოკატთა ასოციაციის ფეისბუქ გვერდზე (საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია /Georgian Bar Association), უფლებამოსილებაშეწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ერთიან სიაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომრებზე.

(ი) 2019 წლის 2 ივლისამდე დაზუსტდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა სია.

საკითხი 7. საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ შემდეგ პირთა განცხადებებს: ანი მჭედლიძე, სალომე ნაცვლიშვილი, მზია ფხალაძე, თამარ ბოსტაშვილი, ცისანა ბერულავა, თამარ ჭანტურია, რუსუდან კვინიკაძე, თამარ მეზონია, თეონა ფერაძე, ნატო ნებიერიძე, დავით ჩალაძე, ნუგზარ ელიავა, მანანა კაჭარავა, ციალა მირცხულავა, იოსებ ჭონქაძე, თამარ დოლონაძე, შორენა ბარათაშვილი, რევაზ კაკუშაძე, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, შორენა ვარდუკაძე, ტრისტან ლომიძე, მანანა ბოგვერაძე, მათა დარბაიძე, თამარ ტიგინაშვილი, ხათუნა ბუცხრიკიძე, ზურაბ იმერლიშვილი, გულნარა ჯიმშელაძე, გივი ღვინიაშვილი, გელა მამუკაშვილი, თეონა ქორიძე, ალექსანდრე ჩირგაძე, თეონა

გუგეშაშვილი, ხათუნა მანჯგალაძე, შორენა ცქიფურიშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, მაკა სალხინაშვილი, თეა ღვინჯილია, ქეთევან ნაცვლიშვილი, ზურაბ ჭოჭუა, გიორგი გოლუბიანი, ნინო დოლაბერიძე, ნანა საჯაია, ნათელა ჩერქეზია, ლაშა წურწუშია, ნატო ცნობილაძე, მაყვალა მოწყობილი, მამუკა ლომიძე, მარიამ სანებლიძე, სოფიო ქანთარია, მანანა გელაშვილი, შოთა ჯანანაშვილი, ლაშა გოგინაშვილი, შალვა გეწაძე, ქეთევან ჭაბუკიანი, თეიმურაზ მეზერიშვილი, ალექსანდრე ახალაძე, რატი ხაჩიძე, ციური ნონიკაშვილი, მევლუდ ჯანჯღავა, ირაკლი ჩახნაშვილი, შორენა კაპანაძე, ეკატერინე მახარაშვილი, მათა ლიპარტელიანი, მიხეილ მარჩილაშვილი, გიორგი ფანცხავა, ნანა რევაზიშვილი, ლელა ქოჩჩიაშვილი, ბესიკ ღვინჯილია, მათა გოგლიძე, ირაკლი გვენეტაძე, ავთანდილ ბუაძე, თინათინ ბასილაშვილი, გულო ღვაჩლიანი, მურმან ქამადაძე, ვალერიან დოლიძე, ინგა ბიბილეიშვილი, ინგა ბოლოთაური, მათა გულიაშვილი, ბათა გულიაშვილი, როლანდ ჭინჭარაშვილი, თამაზ სვანიშვილი, ბელა თალიაშვილი, ლაშა გოლუბიანი, ლელა აბაშმაძე, ვახტანგ გაგნიძე, ოლეგ ღვალაძე, მურტაზ კლდიაშვილი, სულხან ხმალაძე, კახაბერ ხვედელიძე, თინათინ დვალი, ნაირა ჯუკაშვილი, ნინო კაპანაძე, მათა დონაძე, ქრისტინე ჩხიკვაძე.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: განმცხადებელთა მოთხოვნა საწევრო გადახდის გადახდის გადავადების თაობაზე განსახილველად გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

წევრები გაეცნენ :

(ა) ქეთევან შალიკაშვილის განცხადებას, 2012-2013 წლების საწევრო დავალიანების გადახდის მაქსიმალური ვადით გადავადების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ქეთევან შალიკაშვილი აღასრულებელის საბჭოს 2019 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების თანახმად ხელახლა გაწევრიანდა ასოციაციაში და მისი მოთხოვნა საწევრო დავალიანების გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ქეთევან შალიკაშვილის მოთხოვნა საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე განსახილველად გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომისთვის.

საკითხი 8. ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების საკითხის განხილვა;

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების მსურველი პირების შესახებ. კერძოდ, კომუნიკაციის და მედია სამართლის, შრომის სამართლის, მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების, პრო ბონო სერვისების განვითარების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმის კომიტეტებში გაწევრიანების მიზნით.

წევრები გაეცნენ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ განცხადებებსა და რეზიუმეებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი ყველა მსურველის განცხადება მოთხოვნის შესაბამისად, ასოციაციის კომიტეტებში გაწევრიანების თაობაზე (დანართი N1).

საკითხი 9. სხვადასხვა

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების N3/2409-19 (მოსარჩელე: ნანა ოდიშელიძე) აღსრულების მიზნით ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებას (ადმინისტრაციული საქმე N3/2409-19) რომლის თანახმად, დაკმაყოფილდა ნანა ოდიშელიძეს სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნანა ოდიშელიძეს მოთხოვნა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. ამავ გადაწყვეტილებით ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ნანა ოდიშელიძის ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ნანა ოდიშელიძეს სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე მიღებულ იქნას ცნობად და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, დაკმაყოფილდეს ნანა ოდიშელიძეს მოთხოვნა ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე